№ 200 | 1877—1897 | № 200

პარასკევი, 26 სექტემბერი, 1897 წ.

# ივერია

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

დღესასწაულისა გამო, შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 28 სექტემბერს.

## ქართული თეატრი

ქართული სცენის მოყვარეთა ამხანაგობის

## ანტრეპრიზა

21 სექტემბრიდგან დილის 10—2 საათამდე თეატრის კასსაში ისყიდება **აბონიმენტის ბილეთები** დაკლებულის ფასით:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლოჟა ლიტერისა ქვევითი | 12 მ. 50 კ. | მაგიერ 10 | მანეთად |
| „ „ ზევით | 11 — — — | „ 8 | „ |
| „ ბენუარისა . . . | 7 — 40 — | „ 6 | „ |
| „ ბელეტაჟში პირდაპირ | 6 — 40 — | „ 5 | „ |
| „ „ გვერდისა | 5 — 40 — | „ 4 | „ |
| სავარძელი 1 რიგისა . . | 3 — 10 — | „ 2 | „ 20 კ. |
| „ 2 და 3 „ . . | 2 — 10 — | „ 1 | „ 70 „ |

აბონიმენტი ისყიდება 10 და 20 წარმოდგენისათვის

პირველი წარმოდგენა დანიშნულია 28 სექტემბერს

(4—6.—3)

ტფილისი, 25 სექტემბერი *)

ჩვენებურ თათრებს ზამთრის საცხოვრებელი ცხელ ადგილებში აქვთ. მართალია, ამ ადგილებში, თუ სარწყავად წყალი იშოვება, ყოველგვარი მეურნეობა შესაძლებელია. მიწა ცოტად თუ ბევრად მომცემია და ჰავაც რისამე მოსაყვანად ხელის შემწყობია. აქ ხვნა თესვის გარდა, ვენახიც ხელს მისცემს, ბოსტანი და ბაღიც. მაგრამ ვენახის შენებას ღვინისათვის თათარს რჯული ნებას არ აძლევს. თუნდ ესეც არ იყოს, ვენახს თითქმის მთელს წელიწადს დღე მუდამ შიგ ტრიალი უნდა მუშა-ხელისა და თათარი, რომელიც თითქმის მთელი ნახევარი წელიწადი მთაშია, ამას ვერა იქმს. ზაფხულობით მთაში ყოფნა დედა-ბუდიანად შეუძლებელად ჰხდის ან ბოსტანს, ან ბაღს ხელი მოჰკიდოს თათარმა. დარჩა ხვნა თესვა და პირუტყვთ-შენება.

თათარს ხვნა-თესვა, თუმცა ეულობს ზაფხულობით, მაინც ეხერხება. ანეულად შემოდგომაზე, საზაფხულოდ გაზაფხულზე ჰხნავს და სთესავს. ცხელ ადგილში ადრე მოდის ნათესი, თათრის მთაში წასვლამდე მოსავალი შემოდის. იგი მკის, ძნებსა სდგამს და მერე მთაში მიდის. მთიდამ რომ ჩამოვა, შემოდგომის პირს, მაშინ ჰლეწავს და შეაქვს სახლში მოსავალი. ჯერ ეს გარემოება, რომ უკეთესს დროს ლეწვისას თათარი მთაში ატარებს და მერე ის, რომ შემოდგომით დაწყება ლეწვისა პირ და-პირ გვანიშნებს, რომ თათარი დიდს ხვნასა და თესვას ვერ შეუდგება, რადგანაც დიდს ხვნასა და თესვას დიდი დროც უნდება სალეწად და შემოდგომიდამ მაგდენი დრო აღარ არის,—ეს გარემოება უტყუარად გვეუბნება, რომ ძნელად თუ თათარს ხორბლეულობა იმ ნამეტანობით მოჰყვანდეს, რომ ოჯახიც ჰკვებოს და ბაზარშიაც გაიტანოს გასასყიდად და ფულის შესაძენად.

თუნდ ესეც არ იყოს, ჩვენ ხომ წინა წერილებში მოვიხსენიეთ რას იძლევა ხვნა და თესვა ჩვენში საზოგადოდ. ეს რამდენიმე წელიწადია, რაც ხორბლეულობის ფასმა, პურისამ, ქერისამ, სიმინდისამ ზედი-ზედ ისე დაიწია, რომ მოსავალი თითქმის ხარჯს არ აყენებს. უგზო-უკვლობამ ხომ ბაზრის კარი სრულებით დაუხშო. ვლადიკავკასიდამ პურის მოტანა უფრო იაფად ჰჯდებოდა და ჯდება, ვიდრე ბორჩალოს თათრების ზოგიერთ ადგილებიდამ, რომელთაც არამც თუ ტფილისამდე, კარგს გზებამდე გამოტანის ილაჯიც არა აქვთ უგზოობის გამო. ხორბლეულობის ფასმა ძალიან უნდა აიწიოს, რომ მისმა მოტანამ ტფილისში მომტანს ხარჯი გზისა აუყენოს. ძნელად საფიქრებელია ეხლანდელს დროში, რომ ეს ასე მოხდეს და ფასმა საკმაოდ აიწიოს. ოდესიდამ და შავის ზღვის ნავთ-სადგურებიდამ, საცა რუსეთის პური გამოდის, პურის მოტანა უფრო იეფად ჰჯდება, ვიდრე ჩვენის გუბერნიის ზოგიერთ ადგილებიდამ და ეს გარემოება ყოველთვის წინ დაუდგება ხორბლის ფასის აწევას ჩვენში, თუ რუსეთსაც მეტის-მეტად არ გაუჭირდა. გაჭირება რუსეთისა იმაზე დიდი ძნელად-ღა იქნება, რაც 1891 წელს შიმშილობის დროს შეემთხვა, როცა პური ამერიკამაც-კი მოაშველა რუსეთს. მაშინაც-კი აქაური მხვნელ-მთესველი ვერასფერს ვერ გამორჩა თავისს ნაშრომ-ნაღვაწსა. ვამბობთ, ვერ გამორჩაო. ვერ გამორჩა-კი არა, უფრო ცუდ დღეში ჩავარდა და შედეგი იმ დღისა დღესაც თავში სცემს. აკრძალეს მაშინ საზღვარ-გარედ გატანა ხორბლეულობისა იმის შიშით, რომ ვაი თუ შინ დაგვჭირდესო და ისე-კი მოხდა, რომ აღარც შინ დასჭირდათ და აღარც გარედ გაატანინეს. დარჩა მხვნელ-მთესველი სახტად გაოცებული,—ეს რა დაგვემართა, ნურც შენ და ნურც მეო. შეგუბდა, როგორც წინადაც ვთქვით, მოსავალი და მოაწყდა მარტო შინაურ ბაზრებს. სხვა რა მოჰყვებოდა ამისთანა ამბავს, თუ არ დაფოლება და დაწევა ფასებისა. ვიმეორებთ, ესეც მოხდა და იმ დღიდამ დღემდე ფასი დაეცა და ველარ აიწია იქამდე, რომ კაცი თავისს ოფლს გამორჩეს რამეს. მართალია, ეს აკრძალვა მარტო დროებითი იყო და, მადლობა ღმერთს, მალე მოისპო, მაგრამ შედეგი მისი დღესაც მუშაობს და მოქმედობს ჩვენში იმ მხრით, რომ მხვნელ-მთესველი შეუშინდა ხვნა-თესვას, მას აქედ წელში ველარ გაიმართა და ხვნა-თესვაზედ გული წაუხდა: ნამეტანობა ხვნა-თესვისა საბაზროდ დღესაც ხელს არ აძლევს.

ასეა, თუ ისე, ჩვენებური თათარიც იმავე დღეშია, რაშიაც მთიელი ოსი: ხვნა-თესვიდამ არავითარი გამორჩენა არა აქვს თითქმის, თუმცა სხვა-და სხვა ჰავასა და ადგილებში სცხოვრებენ და სხვა-და-სხვა თესლისანი არიან. მაშ თათარმა სიდამ რა იშოვოს, რომ ფულის ხარჯს გაუძლევს და თავისის ცხოვრების მეტ-ნაკლებობას კბილი მოსჭრას? გვეტყვიან, პირუტყვთ-მოშენება ხომ ხელთა აქვთ და მწყემსობაც კარგად იციანო. ეს ყოველივე მართალია, ხოლო ამ მხრით თათარის ავლა-დიდება რომ გავსინჯოთ, არც აქ არის ბევრი რამ სახარბიელო. ამას მერე ვნახავთ შემდეგს წერილში.

*) იხ. „ივერია“ № 196.

### მთავრობის განკარგულებანი

დათხოვნილ იქმნა ავადმყოფობისა გამო ქუთაისის გუბერნიის ართვინის ოლქის უფროსის თანამდებობის ადმი-

## ფელეტონი

### ბედნიერება

ი. პოტაპენკოსი

ვიწრო ბილიკით სამას ნაბიჯამდის აიარეს და მოვაკებულ მაღლობზედ დასხდნენ. მწვანე ხასხასა ბალახი მხრებამდის სწვდებოდა, ასე რომ თავები-ღა მოსჩანდა: ახალგაზდა დედაკაცისა, დიდრონ მომხიბვლელად მოელვარე თვალებით და შლიაპას ქვეშ აკრეფილ მსხვილ წაბლის ფერის თმით და მამაკაცისა, გამომეტყველის პირის სახით.

პატარა, შვიდის წლის, ოქროსფერ თმიანი ქალი ბალახში სრულიად დამალულიყო. ეს ყმაწვილს ძალიან ესიამოვნებოდა. მალ-მალ, იმისი მხიარული, წკრიალა სიცილი მოისმოდა.

— ლიზა, ლიზა! შორს არსად წახვიდე... დაუძახა ახალგაზდა ქალმა.

— არა, აქვე ახლოსა ვარ... აქ რა კარგია, დედა,—უპასუხა ყმაწვილმა: ვერც შენა გხედავ, ვერც... ვლადიმ...

ვლადიმერმა შუბლი შეიკრა; ახალგაზდა ქალმა ეს შეამჩნია და გაშტერებით თვალებში შეაცქერდა.

— ჯერ ვერ შესჩვევია, რამდენჯერმე დავარიგე, აღსრულება აღმითქვა, მაგრამ... ავიწყდება...

ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ რადგანაც დედაკაცს ეს სიჩუმე ემძიმ-ეჩოთირებოდა, პატარა ყმაწვილს დაუძახა, რომელმაც მაშინვე დედასთან მოირბინა. ყმაწვილს მრგვალი, ჭკვიანური პირისახე გასწითლებოდა, თვალები უბრწყინავდა. თავი მორცხვად ძირს ჩაჰკიდა, თითქოს იგრძნოვო, რასაც ეტყოდნენ.

— ლიზა, შენს აღთქმას რატომ არ ასრულებ? წყენით ჰკითხა დედამ.

— მე... ისე ერთბაშად, დედა!.. ყმაწვილმა ენის დაბმით უპასუხა.

— კარგი, წადი, ითამაშე... მხოლოდ დაიხსომე-კი, რაც დამპირდი.

ყმაწვილმა ვლადიმერისაკენ გაითამაშა სიცილ-ხარხარით:

— ჰაი, ვალოდია!—დაუძახა და იმ წამსვე ბალახებში ჩაიმალა.

ვლადიმერს პირი-სახე სიამოვნებით გაუბრწყინდა და ახალგაზდა ქალს ბედნიერის ღიმილით შეხედა.

საუცხოვო ყმაწვილია! ეგეც შენსავით მიყვარს!.. ვლადიმერმა აღტაცებით წარმოსთქვა; როცა-კი ვალოდიას დამიძახებს, ასე მგონია, მე და შენს შორის დაბრკოლება აღარა არის-რა...

— ჰო, რომ არ იყოს!.. ნაღვლიანად ამოიოხრა ქალმა და თვალები ჩამავალს მზეს მიაშტერა.

— მიიღე რამე? საჩქაროდ და აკანკალებულის ხმით ჰკითხა ვლადიმერმა.

ქალი გაჩუმდა, თვალს არ აშორებდა ჩამავალს მზეს, რომელიც ცაზედ გაუქრობელ ლამპარსავით ანთებულიყო.

— წერილის პასუხი მიიღე? იტო, სთქვი, სთქვი... ხომ არ გინდა დამიმალო? არ ვიცოდე ის, რაც იმან იცის?..

რადგანაც ქალი იქითკენვე იყურებოდა და ხმას არ იღებდა, ვლადიმერმა ქალის ხელი აიღო და ემბორა.

— იტო, ნუ მაწვალებ?

— ვლადიმერ, ახალი არა არის-რა! გულ-ამოსკვნით უპასუხა ქალმა. ის კაცი ფოლადისაგან არის ჩამოსხმული, იმისაგან რაიმე შეწყნარებას არ უნდა მოველოდეთ... თუ უეჭველად გინდა დარწმუნდე... აი, წერილი, წაიკითხე...

ქალმა ჯიბიდგან გახსნილი წერილი ამოიღო და ვლადიმირს მისცა, რომელმაც კითხვა დაიწყო: „ჩემო უბედურო იტო! ისეთი უწყალო არახარ, როგორც გგონია; ულმობელად ვერ მოიქცევი. მთხოვ „იტოს ნუ მეძახიო“, ეს შეუძლებელია, რადგან შენზედ ფიქრი სხვაფრივ არ შემიძლიან... ეს-ღა დამრჩენია... დეე, ასე ვფიქრობდე... დეე, მეგონოს, რომ იტო ჩემია... მაგრამ მომპარეს; მომპარა შეცდომამ... გატაცებამ... ამისათვის უბედური იტოა, მაგრამ, რაც უნდა იყოს, მაინც ჩემი იტოა! მართალიც რომ იყოს ის, ვითომ იტო ჩემთან აღარ მოვა, ნუ თუ ის უფლებაც აღარა მაქვს, მეგონოს, რომ ოდესმე იტო ჩემთან დაბრუნდება? იტო, არის იმისთანა წამები, როდესაც ჭეშმარიტებას აღარ დაეძებენ, იმას-ღა ჰფიქრობენ, რითიმე თავი ინუგეშონ... აბა იფიქრე: შენა გყავს ჩვენი საყვარელი ლიზა, რომელიც დაგითმე, რადგანაც მაგისათვის დედის ალერსი საჭიროა. მაგას რა ენაღვლება, რომ მაგისი მამა დანაღვლიანებულ-შეურაცხყოფილია! მეგობარიცა გყავს, რომელთანაც გატაცება გაკავშირებს. მე-კი, გარდა თავ-მოსაწყინ სამსახურის მოვალეობისა, არავინა მყავს. ნუ თუ ერთად-ერთს უფლებას, ერთად-ერთს ნუგეშს მართმევ, ნუგეშს, რომ მომავალში რასმეს მოველოდე. ყოველივე ეს სახეში მიიღე და თუ როდისმე გკითხო „დარწმუნებული ხარ, რომ ჩემი ბედნიერება საბოლოოდ განქრა-მეთქი“? გეხვეწები,—ნუ მიპასუხებ, რადგან ეგ ბოლოს მომიღებს. გიმეორებ, ნუ მიპასუხებ, თუნდა დარწმუნებული იყო!.. გესმის, როგორ საჭიროა ჩემთვის ეს თავის მოტყუება?...“

ვლადიმერი შეჩერდა და ქალს შეხედა.

— რა პასუხის მიწერას აპირებ? ჰკითხა იმან.

— არაფერსაც არ მივწერ! წარმოსთქვა ქალმა.

— არაფერს?!.. არა, მაგრე არ შეიძლება... გადაჭრით უნდა უპასუხო, რომ ნულარაფრის იმედი ნულარ ექმნება...

— არა, არასოდეს, არასოდეს!!.. გარდაწყვეტით წარმოსთქვა ქალმა: არასოდეს!..

ვლადიმერმა წერილი ბალახზედ დასდო და ნაღვლიანად წარმოსთქვა: საკვირველნი ქმნილებანი ხართ დედაკაცნი! თქვენ შეგიძლიანთ ტრფიალებას გატაცებით მიეცეთ, შეგიძლიანთ დაუთმობელიც დასთმოთ; კაცს, რომელიც თქვენ გიყვართ, ასე ეგონება, თქვენი სიცოცხლე და ცხოვრების საგანი ის არის... ამ დროს თქვენს სიამოვნებას საზღვარი არა აქვს, თუ გაიგეთ, რომ სადღაც არის არსება, რომელსაც უყვარხართ, რომელთანაც საქმე აღარა გაქვთ-რა და კიდეც გეჯავრებათ...

— არა, ვლადიმერ, არა!... შეიძლება მაგრეც იყოს, მაგრამ ჩემთვის კი სატანჯველია, რომ იმას კიდევ უყვარვარ... უფლება არა მაქვს უკანასკნელი იმედი წავართვა.

სრულებელი პოდპოლკოვნიკი თავადი ერისთავი.

დანიშნულ იქმნა სააქციზო გამგეობის პირველ ოლქის ზედამხედველის უფროსი თანაშემწე კოლეჟსკი ასესორი სულხანიშვილი—გამგეობის მდივნად.

## ახალი ამბავი

∴ რადგანაც 21 სექტემბერს მასწავლებელ-ქალთა საზოგადო კრებაზედ არ იქმნა განხილული ყველა საგანი, ამავე საზოგადოების ხელ-მეორე კრება იქნება კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში დღეს, 26 სექტემბერს.

∴ რადგანაც საბალოსნო სკოლაში ძალიან ხშირად მოსწავლეები აფუჭებენ სახელმწიფო ავეჯს, სასწავლებლის გამგეობას-კი არ შეუძლიან უფულობისა გამო წანახდენი გადაახდევინოს და რადგანაც ძალიან ხშირად უფულობისვე გამო ძნელდება იმ მოსწავლეების სახლში გასტუმრება, რომელთაც სწავლის ფული არ შემოაქვთ, ამიტომ ტფილისის საბაღოსნო სკოლის საბჭომ დაადგინა სთხოვოს კავკასიის საიმპერატორო საზოგადოების საბჭოს, რომ მან ნება დართოს მომავალ წლიდგან გადაახდევინოს მოსწავლეებს, სწავლის ფულის გარდა, ერთი თუმანი მეტი წინდად იმ პირობით, რომ შემდეგ უკანვე დაუბრუნდეს შემომტანს, თუ არ მოხმარდა წანახდენის აღდგენას, ან მოსწავლის შინ გაგზავნას. ამასთანავე სკოლის საბჭო სთხოვს, ნება მისცენ გამოართვას სადილის ფასი ყურის მგდებელ და გარედგან მოსიარულე მოსწავლეებს თვიურად და არა ნახევარ წლიურად, როგორც აქამდე იყო ხოლმე.

∴ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ნება დაურთავს თერგის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებისათვის გამოფენა გაჰმართოს ქ. კავკავში, 1—20 ოქტომბერს, ბაღოსნობისა, თესლეულობისა, მეღვინეობისა და მეფუტკრეობისა.

∴ ტფილისის გუბერნატორმა გაგზავნა საგუბერნიო ექიმის თანაშემწე ექიმი მაჰვარია მანგლისში კეთროვანების მოსასპობლად, შესაფერის ზომების მისაღებად.

∴ გუშინ წინ, 24 სექტემბერს, საბჭოს სადგომში ქალაქის ხმოსნებს კერძო მოლაპარაკება ჰქონდათ ქალაქის მოურავის ამორჩევის შესახებ. მოლაპარაკება 8 საათზედ დაიწყო და 10-ზედ დასრულდა. სულ 54 ხმოსანმა მიიღო მონაწილეობა. ქალაქის მოურავის თანამდებობაზედ ცხრა კანდიდატი იქმნა წამოყენებული, ხოლო კენჭი უყარეს მხოლოდ ორს: კ. მ. ალიხანოვს და თავ. გ. მ. თუმანოვს, დანარჩენთ უარი განაცხადეს. კ. მ. ალიხანოვს ამოუვიდა 28 თეთრი და 27 შავი კენჭი, ხოლო გ. მ. თუმანოვს—27 თეთრი და 27 შავი.

როგორც წინადაც ვაუწყეთ ჩვენს მკითხველებს, ქალაქის მოურავის არჩევანი 6 ოქტომბერს იქმნება.

∴ ქ. ფოთი. საკვირველია, სწორედ მოვახსენოთ, უწეს-რიგობა ჩვენის ფოსტის მოხელეებისა. დალოცვილები, იმის მაგივრად, რომ ფოსტა გააღონ ხოლმე 7 საათზედ და მსურველთ მიიღონ, ან გაჰგზავნონ წერილები, 8 საათზედაც არ გვეღირსება ხოლმე ფოსტის გაღება. თუ გაჰბედე და დაურახუნე, ვაი შენი ბრალი, რა დღესაც დაგაყენებენ.

∴ ქალაქის ხმოსანმა თავ. გ. თუმანოვმა შეიტანა საბჭოში განცხადება იმის შესახებ, რომ შესდგეს ცალკე კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს ტფილისში ქალაქის პოლიტეხნიკურის ინსტიტუტის დაარსების შესახები შუამდგომლობა. თავისის მხრით ქალაქის გამგეობას ცალკე მოხსენება შეუდგენია ამ საგნის შესახებ და ახლო მომავალში საბჭოს წარუდგენენ განსახილველად. უთუოდ ამავე დროს განხილული იქმნება ბ ნ თუმანოვის განცხადებაც.

∴ ერევნიდგან სწერენ გაზ. „ახ. მიმოხ.", რომ გეოლოგის შტებერის გვამი არარატზედ გაყინული იპოვნესო. ჰფიქრობენ, რომ მთაზედ ასვლის დროს შტებერი სხვებს დაშორებია და გზა დაჰკარგვია.

∴ იგივე გაზეთი იუწყება, რომ კახეთის რკინის გზის გაყვანის შესახებ გამოკვლევანი სოფ. ახმეტამდის მიუყვანიათო. ამ გამოკვლევით ლიანდაგი მოხვდება თელავის მაზრის ნახევარს და თიონეთის მაზრის რამდენსამე ნაწილს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. აქვიზუა, ანუ შავწყალი** (აფხაზეთი). ჩვენი სოფელი სძევს მდინარე კოდორის მარცხენა ნაპირზედ და დასახლებულია სულ მთლად აფხაზებით. აქა-იქ თუ შეხვდებით მეგრელებს, ისინიც გააფხაზებულნი არიან. ჩვენის სოფლის მცხოვრებლების უმეტესობას შეადგენენ „მოხაჯირნი" (მოჯაჯირნი), ესე იგი სათათრეთში უკანასკნელ ომიანობის დროს წასულნი, ანუ ძალად წაყვანილნი და მერე უკან დაბრუნებულნი. ისტორიულად ჩვენი სოფელი ბევრის არაფრითაა შესანიშნავი, გარდა იმისა, რომ უკანასკნელ ომიანობის დროს აქ მოხდა ომი ოსმალებსა და რუსთა შორის, რუსნი ძლეულ და უკუქცეულ იქმნენ. ომმა თავისი დაღი დაასვა სოფელს: მთლად გადაწვგადაბუგეს თათრებმა, ასე რომ ერთს სახლსაც ვერსად შეხვდებოდით და მცხოვრებნიც სათათრეთში წაასხეს. ორის სამის წლის იქ ყოფნის შემდეგ რის კაი-კაცობით ერთი მესამედი წაყვანილთა დაბრუნდა უკანვე გადარჩა ხულ-გაძარცვული და დანარჩენი ორი მესამედი ზოგი იქ დაწყდა და ზოგიც გაყიდულ იქმნა (ბავშვები და ქალები). ახლად დაბრუნებული სოფელი ისევ 1880—1881 წლებში მოხაჯირეებით დასახლდა, მაგრამ კაი იმისთანა დასახლებას! ქურდ-ბაცაცებისაგან არც ძილში, არც ღვიძილში არა აქვთ საწყლებს მოსვენება! ვერ იქმნა და ვერა, რომ ფეხი მოეკიდნათ და კარგად დასახლებულიყვნენ.

მდინარე კოდორის მარჯვენა ნაპირზედ დაფენილია სამი თუ ოთხი ახალშენი, ზოგი რუსებისა, ზოგი მოლდავანებისა და ზოგიც ესტ-ნემეცებისაგან დასახლებული. აი, სარგებლობენ რა ამ მახალშენეთა მხლობლობით, ყოველი ქურდ-ბაცაცი იმათ ელტვის და ჰქურდავს იმისს საქონელს, ნაქურდალი-კი ჩვენის სოფლიდგან გაჰქავთ თავიანთ სოფლებში, რადგანაც ჩვენი სოფელი ერთად-ერთი შემაერთებელი გზაა კოდორის და გუმისტის ნაწილებისა. თუ არ ჩვენის სოფლით, აფხაზს არ შეუძლიან კოდორის გაღმა გავიდეს, რადგან მეტი გზა არ მოიპოვება. დროებით დაკანონებულის ძალით, აქ იმ სოფელმა უნდა უზღოს მახალშენეს თავის დანაკარგის ფასი, რომლის საზღვრამდის მიიტანენ ნაკვალევს დაკარგულ ცხენისას, თუ საქონლისას. აი, ამ კანონის ძალით 1882 წლიდგან დღემდე ჩვენმა სოფელმა გადაიხადა მახალშენეთა სასარგებლოდ 14 ათას მანეთზედ მეტი და დღესაც გადასახდელად აქვს 2,330 მან.! ამისთანა უსაფუძვლო ხარჯისა გამო სოფელი საშინელს სიღარიბეშია.

ამ ხარჯით შეწუხებულმა და შევიწროებულმა სოფელმა ამ დღეებში მისცა მთავარ-მართებელს თხოვნა, რომ დაიხსნათ ეს საცოდავი სოფელი უსამართლობის და ქურდ-ბაცაცებისაგანო. სხვათა შორის, სოფელი სთხოვს: ეს ახალშენთათვის დაწესებული გარდასახადი გარდაახდევინონ დღეის შემდეგ ქურდ საზოგადოებათ: კვიტოულის, ჯგერდისა, ტამიშისა და ჩვენის სოფელ აქვიზუისას; მით უფრო მოსახერხებელია ეს, რომ ამ ქურდების სახს უოკლეწლივ არდგენენ სადაც ჯერ არს. იმედია, ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევს მთავრობა ამ თხოვნას.

ამას გარდა, თითონ სოფელ აქვიზუასაც ეკარგება საქონელი ორთა შუა რიცხვით 40—50-მდის და თითო რომ დავაფასოთ 25, მან. შესდგება 1000 მანეთის ზარალი შინაურ დანაკარგისა, რომელსაც, რასაკვირველია, არავინ უზღავს, რადგანაც ზემოყვანილი კანონი მარტო ახალშენთათვის არის აქ შემოღებული. საწყალი ჩვენი გლეხი რამდენს დროს ჰკარგავს თავისის საქონლის ძებნაში, ამას ხომ არ კანგარიშობთ და არა!

აი, ამ ქურდების წყალობითაა, რომ ჩვენს სოფელში ერთს ხეირიანად დასახლებულს გლეხს ვერ შეხვდებით, თუმცა სოფლის ბუნება მდიდარია! ერთი იმერული ოდა რა არის, ერთს ვერ შეხვდებით, თუმცა ხე-ტყე (წაბლისა გინდა, თუ მუხისა) მუქთადაა!

აქვე არ შეგვიძლიან სიამოვნებით არ აღვნიშნოთ, რომ რაც ჩვენს სოფელში გამოგზავნილ იქმნა ქურდ-ბაცაცების ასალაგმავად მილიციის ბოროჩიკი აზ. ზაალ სალაყაია, თითქმის მთლად მიჩუმდა და მიწყნარდა ქურდობა როგორც გაღმა ახალშენებში, ისე ჩვენ სოფელშიაც. იმედია, ბ-ნი სალაყაია ჩვენს ბედს-შავობას მოჰხედავს და თავისს მალ-ღონეს მოგვახმარებს.

ჩვენი სოფელი ციებ-ცხელების ბუდეა: აქ ორს კაცს ვერ შეხვდებით, რომ ზაფხულში კაცის სახე და ფერი მაინც ჰქონდეს. არსით წამალი, არსით შველა! მართალია, გაღმა დრანდაში არსებობს აგერ სამი წელიწადია საავადმყოფო, მაგრამ ჩვენ მაინც ვერას გვშველის: ამათი ჩვენ არ გვგვება და ჩვენი იმათ. ერთი მეგრელი ფერშალი იყო საავადმყოფოში, ისიც ცხრა მთას გადმა გადაჰკარგეს!

აგერ სამი წელიწადია ჩვენს სოფელში არსებობს ერთ-კლასიანი სამრევლო სკოლა, მაგრამ ნაყოფი ცოტა მოაქვს...

---

— იტო, მისწერე, რომ საბოლოოდ გადასწყვიტე..

— არა, ვლადიმერ!

ვლადიმერმა წერილის კითხვა განაგრძო!

„შენ გაყრასა მთხოვ... იწერები:" თქვენის შეხედულებით თქვენს სახელს ჩემი საქციელი ჩირქს უნდა სცხებდეს, ამისათვის უნდა სცდილობდეთ მე თქვენს სახელს აღარ ვატარებდე... ამის საშუალება გაყრაა; ეცდებით თქვენი სურვილი მალე სისრულეში მოიყვანოთ. ამისი იმედი მაქვს და გთხოვთ კიდეც". შენ ამას იწერები, მაგრამ შენ კი არა სწერ; იტო, შენ არ შეგეძლო ასე დაგეწერნა „თქვენის შეხედულებით... უნდა სცდილობდეთ"... არა, არა, იტო, შენ ასე არ დასწერდი; დედაკაცები ასე არა სწერენ, მერე იმისთანა კეთილშობილის გულის პატრონნი, როგორიც შენა ხარ. შენ ასე დასწერდი: „მე გაყრა მსურს, გეხვეწები მომანიჭო!" ის კი, რაც შენს წერილშია, კაცის ნათქვამია. იწერები „თქვენის შეხედულებით"! ეჰ, რომ იცოდეს რა შეხედულებისა ვარ! შეხედულება კაცისა, რომელსაც ყოველივე წაართვეს და რისთვისაც სიცოცხლე დაუტოვეს... „ჩირქს უნდა სცხებდეს"! ღმერთო ჩემო! შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ მე ამას ვერა ვგრძნობ. ობლობა-მარტოობის გრძნობამ ისე მომიცვა, რომ სხვას ვეღარასა ვგრძნობ... გაყრასა მთხოვ... მაგრამ რისთვის?.. იქნება შენი ეხლანდელი ბედნიერება ტყუილია? შენი ჩემთან ბედნიერებაც ხომ ნამდვილი გეგონა, მაგრამ აღმოჩნდა... გაყრას მოგანიჭებ, მაგრამ ჯერ დამარწმუნე, რომ შენი ეხლანდელი ბედნიერება ტყუილი არ არის. წრფელის გულით მითხარ ეს და უფრო მეტს მიიღებ, რადგანაც მე მაშინ აღარაფერი მენდომება". ვლადიმერმა წერილი მოჰკეცა და დაფიქრდა.

— იტო,— წყნარად წარმოსთქვა ვლადიმერმა: ამ წერილის სიწრფელეს რომ დარწმუნებული ვიყო, თავს მოვიკლავდი!..

— არ ვიცი, სიწრფელით არის დაწერილი, თუ არა! წარმოთქვა ქალმა.

— შენ არ იცი, იტო? საკვირველია!.. მოიგონე შენი იმასთან ცხოვრება... განა იმას ერთ წამს მაინც შეუძლიან გულწრფელობა!?. ლიზა სად წასულა? არა სჩანს! შენ აქ იყავ, მე მოვძებნი. მზე უკვე ჩავიდა.

ცოტა განშორდა თუარა ვლადიმირი, ქალს წარსული ცხოვრება წარმოუდგა გონების თვალწინ... აი,—ის, ყველაფერში თავაზიანი, მაგრამ იმავ დროს გულ-ცივი. ასე გეგონებათ, გულის მაგიერ ქვა უძევსო; იმის საქციელში ყოველივე აწონილ დაწონილი და გამოანგარიშებულია,—ეტყობა რაღაცისაკენ მიისწრაფის. ეხლავე ბრალმდებლის ამხანაგია და წარმატებაში შევა. იქ თუ საჭიროა აწონ-გამოანგარიშებული ქცევა, ოჯახში?.. ყოველივე ეს ამის ბუნების წინააღმდეგი იყო და კიდეც დააშორა ერთმანეთს, ხიდი ჩასტეხა... არა, ვლადიმერი აქ არაფერს შუაშია; ის მაშინ გამოჩნდა, როდესაც მათ შორის ყოველივე გათავებული იყო, როდესაც ამისათვის ქმარი უცხო გახდა. მართლაც იმის ქცევა-ლაპარაკში გულწრფელობა არა სჩანდა, თუმცა კი ერთმანეთს კეთილშობილურად ეპყრობოდნენ. როდესაც სრულიად დაანება თავი და ლიზაც წამოიყვანა დიდს უბედურება-ქარტეხილს მოელოდა, მაგრამ, წარმოიდგინეთ, არაფერიც არ მომხდარა. იმან, თითქოს ვისმეს რჩევასა სთხოვდესო, ხმა მხოლოდ ორის დღის შემდეგ ამოიღო. მწარე საყვედურით სავსე წერილი მოეწერა; ყველაზე უფრო კი ის გაუკვირდა, რომ ლიზას დედას უთმობდა, დედის ალერსი მისთვის უფრო საჭიროაო. როგორ? იქნება გულ-წრფელად არც ლიზა უყვარდა?!. მაგრამ შეიძლება უსამართლოდ, მკაცრად მოექცა და შეცდომით დააფასა იმისი გრძნობანი?..

ვლადიმერმა ლიზა იპოვა და შინისკენ გაეშურნენ, დაბლა მთის ძირში ქალაქი იყო გადაჭიმული.

ბევრის სირბილით მოქანცულს ლიზას მაშინვე დაეძინა, ისინი-კი აივანზედ გამოვიდნენ დასასვენებლად.

— იტო, შენგნით დღეს უკანასკნელს ღონისძიებას მოველი!—უთხრა ვლადიმერმა: უნდა მოკლედ, ნათლად და გადაჭრით მისწერო, რომ რაც უნდა მოხდეს, არასოდეს!..

— ვლადიმერ, რა გეჩქარება?

— რაა?! თითქოს არ იცოდე... იმ კაცს ნაკლულევანებათა გარდა, ერთი ღირსებაცა აქვს: ის თავისს სიტყვას არასოდეს არ უღალატებს. აი, თუნდ იმის წერილის ბოლო სიტყვები გაიხსენე. მე ასე მესმის: თუ უკანასკნელ იმედს მოუსპობ, მაშინვე გაყრის უფლებას მოგვცემს. ეს-კი ჩვენთვის ძალიან საჭიროა, რადგანაც უამისოდ ჩვენი აქედგან წასვლა შეუძლებელია. ისეც ბევრი ჭორი დადის ჩვენზედ. შენ იქ ჩემ კანონიერ ცოლად უნდა წამოხვიდე. რა ვქნათ! ხალხი ჭორიკანებად არიან შექმნილ-დაბადებულნი. ჭორიკანებს-კი არ მოსწონთ ერთხელ შემოღებულ ჩვეულების წინააღმდეგობა-უარ-ყოფა... აქ ესე ხეტიალი ძნელია ჩვენთვის. ორივეს გვინდა აქედგან წასვლა. გარდა ამისა მე... მუშაობა მინდა... მე ისეთს ხელოვანთა გუნდს არ ვეკუთვნი, რომელნიც ბუნების ტრფიალებაში ატარებენ დროსა... იტო, ჩემო საყვარელო მეგობარო, უარს ნუ მეტყვი!.. დაჯექ და დასწერე... არ მესმის რისა გეშინიან?

— მე თვითონ არ მესმის, ვლადიმერ!.. მაგრამ რიღასიც-კი მეშინიან!.. ნაღვლიანის კილოთი მიუგო იტომ.

— იტო, როცა იქნება ხომ ჩვენი ცხოვრება უნდა მოვაწყოთ.. უშენოდ ცხოვრება არ შემიძლიან, შენა?..

— ახ, ვლადიმერ!..

იტომ მოიტანა საწერ-კალამი, ქაღალდი და მოსკოვში მისწერა. წერილი მოკლე და ძლიერი იყო. ეწერა: „პირველად და უკანასკნელად გეუბნებით, რომ თქვენი გულწრფელობა არა მჯერა, რომელსაც ყოველისფერში მოკლებული იყავით; ჩვენში ყოველივე გათავებულია!.. რაც უნდა მოხდეს... რა გარემოებაშიაც უნდა ჩამაგდოს ცხოვრებამ,

ეროვნული ბიბლიოთეკა



აგრონომთა საყურადღებოდ შევნიშნავთ, რომ ჩვენი საზოგადოების წაბლის ხით მდიდარი ტყე მთლად გადახმა: ხმება მარტო წაბლი. რა მიზეზია, ვერ შევიტყეთ, თუმც არა ერთსა და ორს შევჩივლეთ ჩვენი გაჭირვება.

დათიკო ვერმიცანაშვილი

---

**ს. აცანა** (გურია) აქ არსებობს ერთ-კლასიანი სამინისტრო სკოლა, რომელიც ორ-კლასიანად უნდათ გადააკეთონ; დაარსდა სამრევლო სკოლა ბლ. მღ. ს. ჩხაიძისა და მღ. ათანასე ტუსკიას მეთაურობით. სწავლა-განათლებას აცანელები გულითა და სულით მისდევენ, მაგრამ საშუალება? აი საკითხი საგანი: უკანასკნელს მალ-ღონეს შვილების აღზრდას ანდომებენ და ხშირად ისმის ბეჩავის ხალხის გულიდგან ოხვრა: რა ვქნა, რა მეშველება, რითი გავუსწორდე მტერ-მოყვარეს, რითი გამოვზარდო შვილებიო?!. ამას ზედ ერთვის სოფლის მოთხოვნილებაც და უფრო ურკვეცდება სევდა-ფიქრები. უიმისოდაც გადატაკებული ოჯახი ძალაუნებურად იძულებული ხდება მიატოვოს თავისი კარ-მიდამო, სხვა უცხო ქვეყნებში წავიდეს ორიოდე გროშის საშოვნელად და ცოლ-შვილი ღვთის ანაბარად დასტოვოს.

აღებ-მიცემობა ამ სოფელში მეტისმეტად ნაკლებია და ადგილობრივს ნაწარმოებს აქამდის ბაზარი არსად ჰქონდა გზების უვარგისობის გამო და ეხლა-კი მამასახლისის მეოხებით მშვენიერი გზები არის გაკეთებული დაბაა ლანჩხუთამდის, სადაც აქაურს ნაწარმოებს ეზიდებიან მცხოვრებლები, მაგრამ, სამწუხაროდ, ფასი ნაწარმოებისა ისე დამცირებულია, რომ მთელის წლის ნაოფლარიდგან თუ ფოსტის ფული და სახელმწიფო ზეგარა გასისტუმრა გლეხ-კაცმა, ისიც კარგია.

ი. აცანელი

---

## წერილი თელავიდგან

მგონი ისე არსად არ ეტანებიან ღლეობას და საზოგადოდ დროების გატარებას, როგორც კახეთში. ეს ლუარსაბ-დარეჯანის ანდერძი კახელებს მტკიცედა სწამთ. ნეტა სხვა სიკეთე დაგვემახსოვნა ისე! ერთი განსაკუთრებული ჩვეულება კახელებისა ის არის, რომ „სწორობა“ იციან: თუ რომელსამე ღლეობას რამე მიზეზით დასცდა, სწორზედ ეცდება დაესწროს, თუ სწორზედ ვერა—სწორის სწორზედ უთუოდ, ამ ნაირად რომელიმე ღლეობა აქ თითქმის თვეს გასტანს ხოლმე. უფრო შესანიშნავი ღლეობა აქ „ალავერდობაა“, რომელიც ამ სექტემბრის 14-ს იცის. პირველად შევხედი აქ სწორზედ,—ე. ი. 21 სექტემბერს, ხალხი, როგორც ამბობდნენ გავლილ კვირას უფრო ბევრი ყოფილა, თუმცა არც ეხლა იყო ნაკლები. არა მცირედი ნაწილი აქ მოსულებისა სავაჭროდ არიან წამოსულნი. გამართული აქვთ დუქან-ბაზარი და ყოველ გვარ ნაწარმოებს ჰყიდიან და ჰყიდულობენ. თუშებს მოაქვთ აუარებელი მშვენიერი ერბო-ყველი, ქისტებს ნაბდის ქუდები და სხვ. ვაჭრობა-ლხინმა ამ დღეს მშვიდობით ჩაიარა.

ალავერდის მონასტერი იქნება ჩვიდმეტ-თვრამეტის ვერსით დაშორებული ქ. თელავიდგან. იმისდა მიუხედავად, რომ იგი მეტად დაბლობს ადგილასაა აშენებული, გარს მკვიდრი და საკმაოდ მაღალი ციხე გალავანი არტყია და ტყე, მაინც კიდევ ეს ტაძარი ორმოც-სამოც ვერსის სიშორიდგან მეტად დიდებულად მოსჩანს და რა საკვირველია, რომ ახლო ხილვით უფრო განცვიფრებაში მოჰყავს ადამიანი. მთელი შენობის კედლები მთლად არის დაცული, მაგრამ, სამწუხაროდ, უსუფთაობა სუფევს შიგ! მერცხლებისა და სხვა ფრინველების ბუდე ბუმბულით არის სავსე, უფრო-კი ჩრდილოეთის მაღლა ასავალი მხარე. გალავანში ორი ხის მეტი არ არის, მაშინ, როდესაც შეიძლებოდა ლობიოს ან სხვა ხეების რიგზედ დარგვით გაემშვენიერებინათ ეკლესიის მიდამო ეხლანდელი გაუვლელ უსარგებლო კაჭაჭების ნაცვლად!

სასურველია, რომ ბერებმა ყურადღება მიაქციონ ამ ფრიად შესანიშნავ, ჩვენამდის მოღწეულს ძვირფასს ნაშთს წარსულისას და რიგიანი მზრუნველობა გაუწიონ.

ტ. ი—ძე

---

# რუსეთი

საერო განათლების სამინისტრომ ბრძანება დაუგზავნა სამოსწავლო ოლქის მზრუნველებს, რომ გიმნაზიისა, პროგიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლებში ძველ ენებისა, გეოგრაფიისა, ისტორიისა, რუსულის ენისა და სიტყვიერების მასწავლებლებად მომეტებულ ნაწილად დანიშნულ იქმნენ პეტერბურგისა და ნეჟინსკის საისტორიო-საფილოლოგო ინსტიტუტებში სწავლა-დამთავრებულნი.

— დედათა სამკურნალო ინსტიტუტთან მომავალ წლიდგან აპირებენ დააარსონ კბილის საექიმო კურსები.

— 16 სექტემბერს გამოაქვეყნა სამთო ინსტიტუტის საბჭომ სამეტოქეო გამოცდის ანგარიში. წელს, როგორც ანგარიშიდგანა სჩანს, 637 კაცს დაუჭერია ეგზამენი და მიუღიათ 50, რადგანაც მეტი თავისუფალი ადგილი არ აღმოჩენილა. მიღებულთა შორის ჩათვლილია ის 8 კაციც, რომელთაც სწავლა დაამთავრეს უმაღლესს სასწავლებლებში (უნივერსიტეტებში) და ჩარიცხულ იქმნენ გამოუცდელად.

— პეტერბურგში არსდება ახალგაზრდა სწავლულთა ამხანაგობა, რომელსაც აზრადა აქვს ლექციები იკითხოს იმათთვის, რომელნიც ვაჭრობასა და მრეწველობას მისდევენ. ყოველ საჭირო საგნის შესახებ წაკითხულ იქმნება 10—20 ლექცია. ლექციების მოსასმენი ფასი ძლიერ მცირე იქნება.

— ოქტომბერში დაიწყებს მუშაობას უმაღლესად დაარსებული კომიტეტი მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარის სტატს-სეკრეტარის ი. ნ. დურნოვოს თავმჯდომარეობით თავად-აზნაურობის მიწად-მფლობელობის საქმის შესახებ.

მიწად-მოქმედების სამინისტროს წინაშე შუამდგომლობს რუსეთის საიმპერატორო საბაღოსნო საზოგადოება, რომ დახმარება აღმოგვიჩინეთ გავმართოთ ქ. პეტერბურგს 1899 წელს სრულიად რუსეთის გამოფენა ბაღოსნობისა და კრება მებაღოსნეთაო.

— მომავალ წლიდგან ზოგიერთ დაბალ სასოფლო სამეურნეო სასწავლებლებთან დაარსებულ იქმნება კურსები ხელოსნობის შესასწავლად, რისთვისაც მიწად-მოქმედების სამინისტროს უთხოვნია 10,000 მან. კრედიტი.

— სამკურნალო პოლიციის წესდების განსახილველად დაარსებულ კომისიაში მიწვეულ იქმნებიან ქალაქებისა და ერობათა წარმომადგენელნიც. კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი ახალის წესდებისა დაეგზავნებათ ქალაქის საბჭოებს თავიანთის აზრის გამოსათქმელად.

— მოსკოვის გუბერნიის ერობას დაუდგენია აძლიოს მუდამ წელს 1898 წლიდგან დედათა სამკურნალო ინსტიტუტს 1000 მან. ორის ქალის აღსაზრდელად.

— ამ ჟამად პეტერბურგში არსდება ამხანაგობა ფრანგ-რუსთა, რომელსაც აზრად ექმნება გაავრცელოს რუსეთში საფრანგეთში გაკეთებული სამანუფაქტურო ნაწარმოები. ამხანაგობას ძირითად თანხად 4 მილიონი მან. ექმნება.

---

# უცხოეთი

**ისპანია და შეერთებული შტატები.** გაზ. „Temps“ დეპეშით ატყობინებენ ბერლინიდგან: „ხმა დადის, იმპერატორმა ვილჰელმმა და ფრანც-იოსებმა ვენგრიაში ყოფნის დროს პირობა დასდეს, რომ წინააღმდეგობა გაუწიონ ამერიკის შეერთებულ შტატებს, თუ იგი კუბის საქმეში ჩაერიაო. გერმანიის იმპერატორი ისევე მოიქცევა ეხლა, როგორც ტრანსვაალის საქმეში მოიქცა. სხვათა შორის იმასაც ამბობენ, რომ ავსტრიის იმპერატორი ფრანც-იოსები იმიტომ ერევა ისპანიის საქმეში, რომ ისპანიის დედოფალი ავსტრიის ერც-ჰერცოგინია არის და იმპერატორს ნათესავად მოხვდებაო“.

—

**საბერძნეთი.** გაზ. „Saturday Peveew“-ში ვრცელი წერილია დაბეჭდილი საბერძნეთის შესახებ ამ გაზეთის კორესპონდენტისა, რომელსაც საბერძნეთის ტახტის მემკვიდრესთან ლაპარაკის შემთხვევა ჰქონია. წერილი უმთავრესად თვით ტახტის მემკვიდრეს შეეხება, რომელსაც საბერძნეთის ერმა ჯარის დამარცხება მოახვია კისერზედ და რომელიც მან საბერძნეთის ყოველგვარ უბედურების მიზეზად დასახა. კორესპონდენტის აზრით-კი, „საბერძნეთის ტახტის მემკვიდრე ერთადერთი კაცია, რომელმაც შეუშინებლად აღიარა, რომ საბერძნეთის დამარცხების მიზეზი ათინის პოლიტიკოსები არიანო: მათ უმიზეზოდ და უსაფუძვლოდ ააღელვეს ხალხი და იარაღი აადებინეს ოსმალეთის წინააღმდეგო. ხოლო ათინის პოლიტიკოსები შეცდომაში შეიყვანეს ინგლისის აგენტებმა, რომელნიც არავითარს საშუალებას არა ჰზოგავდნენ, ოღონდ საბერძნეთი და ოსმალეთი შეტაკებულიყო. პრინცს აზრადა აქვს თავის გასამართლებლად გამოაქვეყნოს თვისის მოქმედების ანგარიში ომის დროს და ამით აშკარად დაანახვოს მთელს ქვეყანას, რომ მას არავითარი დანაშაული არ მიუძღვის საბერძნეთის

---

თქვენი აზრიც რომ აცხადდეს, თავისს დღეში არ მოგმართავთ. ყოველივე გათავებულია ჩვენ შორის, ყოველივე“. წერილი დანიშნულებისამებრ გაჰგზავნეს.

გამოიანგარიშეს, რომ ორი კვირა საკმარისია წერილი მიუვიდეს და პასუხიც მოიწეროს. ოთხი დღეც მოსაფიქრებლად მისცეს.

ამ ხნის განმავლობაში იტო რაღაც მოუსვენრობაში იყო, სინიდისი აწუხებდა, ეგონა უსამართლობა ჩავიდინეო. წინასწარ-გრძნობა რაღაც ცუდს მიქადისო,—ამბობდა ხოლმე. ვლადიმერი გაიცინებდა ხოლმე; დედაკაცის წინასწარი გრძნობა ძველი არაკია. ეგ გრძნობა, რასაკვირველია, დედაკაცის გაჩენიდგანვე არსებობს, მაგრამ ცხოვრება-კი ისევ თავისის კანონ-წესებით მიმდინარეობს. ის მოხდება, რაც მოსახდენია. შენ ის არ მოგიტყუებია, მაშასადამე, მართალი ხარ. თუ ეს სიმართლე იმისათვის ულმობელი იქმნება, რა ვქნათ, სიმართლეს ასეთი თვისება აქვს. ყველას უფლება აქვს თავისი ნაწილი ბედნიერებისა მოითხოვოს. ამისათვის ეს ბედნიერება ყოველის ღონის ძიებით უნდა ვეძიოთ. მაგრამ ხომ იცი, რომ ის ბრალმდებლის ამხანაგია! იმას გულში იმისთანა მანქანა აქვს, რომ რაც გინდა მწარე წამალი დაალევინო, მარჯვედ მოინელებს...

იტო, ამისთანა ლაპარაკის შემდეგ, ცოტა მოსვენება-სიმხიარულეს იგრძნობდა ხოლმე, მაგრამ მარტო დარჩებოდა თუ არა, იმ წამსვე უწინდებური გულის წყლულვა წუხილონება აუვარდებოდა.

...კაშკაშა-მზიანი დღე იყო. ვლადიმერი და იტო აივანზედ ისხდნენ. ლიზა-კი მოსამსახურე ქალს სასეირნოდ გაატანეს. ფოსტის მოსვლის დრო იყო და რუსულს გაზეთებს ელოდებოდნენ. რადგანაც ჯერ მეთორმეტე დღე იყო, წერილის იმედი არა ჰქონდათ. აგერა გზაზედ ფოსტალიონი გამოჩნდა და სამის წუთის შემდეგ მოსამსახურემ ერთი კონა გაზეთი და დიდს პაკეტში დაკრძალული წერილი შემოიტანა.

წერილი იტომ გამოართვა. წერილი „იმისაგან“ იყო. იტომ წერილი გახსნა თუარა, რაღაცა ოთხად მოკეცილი ქაღალდი ჩამოვარდა იატაკზედ, ხელში-კი უბრალო წერილი შერჩა. ცოტა რომ ჩაათვალიერა წერილი, იტოს სახეზედ მწუხარება დაეტყო.

— ეს რასა ნიშნავს? აკანკალებულის ხმით იკითხა იტომ და მთრთოლვარე ხელებით წერილი ვლადიმერს გადასცა. ვლადიმერმა წაიკითხა: „იქნება შენ მართალი იყო, იტო, რომ მე სიწრფელე არასოდეს არა მქონდა. შეიძლება, იმის გარდა, რომ შენ წრფელად მიყვარდი. ჩემი სიცოცხლე თავდებია ამისი და დროა კიდეც დაგიმტკიცო. შენი წერილი მკაცრია, მაგრამ მე მგონია, რომ შენ რასაც იწერები, ნამდვილადა ჰგრძნობ. ერთს საყვედურსაც არ გეტყვი,-ამას შენ თავს შენვე ეტყვი. გიგზავნი საბუთის წერილს, რომლის ძალითაც ჩემს ქონებას ლიზას ვუმტკიცებ“.

— ეს ტყუილია, ეს არ შეიძლება! უეცრად წარმოსთქვა ვლადიმერმა: ბოროტი ხუმრობაა, სხვა არაფერი!...

მთრთოლვარე ხელებით გაზეთი გადაშალა. გაფაციცებულის თვალებით ერთის სვეტიდგან მეორეზედ გადავიდა და ერთს ადგილს მიაჩერდა. ხუთი სტრიქონი ვერ წაიკითხა, გაზეთი ხელიდგან გავარდა. ვლადიმერი ფანჯარას მიუახლოვდა და გაშტერებით გარეთ დაიწყო ყურება. იტომ აიღო გაზეთი და წაიკითხა: „გუშინ, ** მაისს, საღამოს 7 საათზედ, თავისს ოთახში რევოლვერით თავი მოიკლა ოლქის სასამართლოს ბრალმდებლის ამხანაგმა არკადი ზალევსკიმ. თავის მოკვლის მიზეზი ჯერ ვერ გამოურკვევიათ. ამბობენ, განსვენებულს რამდენიმე თვეა რაღაც შინაურული დარდი აწუხებდაო“. იტო უცბად წამოდგა და ხელი შუბლზედ მიიდო.

— აი, ბოლო მოეღო! ხმის კანკალით წარმოსთქვა თავისათვის ქალმა, ასე გონია ვლადიმერს ყურადღებას არც-კი აქცევსო.

— იტო! წყნარად წამოიძახა ვლადიმერმა; მერე იტოს თვალებში მიაშტერდა, რომლითაც იგი ეხლა მკაცრად იყურებოდა: იტო!... ბოლო მოეღო? რას?... ქალმა პასუხი არც-კი გასცა, მეორე ოთახში ისე გავიდა; ვლადიმერი დიდხანს იდგა ესე გაზეცებულ-გაშტერებული და ფანჯარაში გაიყურებოდა. უცებ რაღაც ქვითინის ხმა შემოესმა. ვლადიმერი შეკრთა, კარებისაკენ ორიოდე ნაბიჯი გადადგა... იტოს პირი-სახეზე ხელები მიეფარებინა და მწარედ, გულ-ამოსკვნით ქვითინებდა.

— სტირით? თქვენა? უნებლიედ წარმოსთქვა ვლადიმერმა. როცა დაინახა, რომ ქალმა პასუხი არ გასცა, უცბად გატრიალდა, შლიაპას ხელი დაავლო და თვალის დახამხამებაზედ ქუჩაში გავარდა.

მეორე დღეს იტო თავისის პატარა ლიზათი დილის მატარებლით საფრანგეთში წავიდა. ვლადიმერმა თითქმის ხმის ამოუღებლივ გააცილა იგინი. ორთავეს დანაღვლიანებულს სახეზედ რაღაცა ღრმა მწუხარება ემჩნეოდათ. გამოთხოვებისას ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს. პატარა ლიზა-კი გაკვირვებით უყურებდა ყოველსავე, რაც-კი მათ შორის ხდებოდა.

ვლადიმერი შვეიცარიაში ერთს კვირას-ღა დარჩა. იტალიაში აპირებდა წასვლას, მაგრამ რუსეთში წავიდა. წასვლის წინა დღეს იტოსაგან წერილი მიიღო, რომელშიაც, სხვათა შორის, ეწერა: „მაშინ მკითხეთ, რადა სტირიო, და, რასაკვირველია, ასე გეგონებოდათ არკადის სიკვდილის გამო ვტიროდი. ეხლა გეტყვით, რომ არა; იმდენად თავ-მოყვარე ვარ, რომ იმის სიკვდილის გამო არ ვიტირებ. არა, მე ჩვენს ბედნიერებასა ვტიროდი, რომელიც ახლოს იყო და კიდეცა გვქონდა ამისი უფლება, მაგრამ ერთბაშად აღმოჩნდა, რომ იგი სხვის სიკვდილით არის ნასყიდი... არავის არა აქვს უფლება თავისი ბედნიერება ასე ძვირად იყიდოს! მართალი არ არის, ვლადიმერ?“

— მართალია, მართალი!.. სთქვა ვლადიმერმა მწარედ და შერცხვა, რომ მაშინვე ამას ვერ მიხვდა და იტოს სიჩუმე და ცრემლები უკვირდა...

ე. მ—შვილი

დამარცხების საქმეში და რომ ცილი სულ ტყუილ-უბრალოდ დასწამეს. სხვათა შორის, აი რა უთქვამს პრინცს კორესპონდენტისთვის: „რა წამს ხმა გავარდა, რომ საბერძნეთ-სა და ოსმალეთს შორის ომი უნ-და მოხდესო, მე მაშინვე შევატყო-ბინე სამხედრო მინისტრს, რომ ჩვე-ნი ჯარი ომისთვის მომზადებული არ არის და პირველსავე შეტაკების შემდეგ დამარცხება მოელის მეთქი. მე არ დავმალე და პირდაპირ ვაუწ-ყე მინისტრს, რომ არც ქვეითი და, არც ცხენოსანი ჯარი იმდენად არ არის მომზადებული და შეიარაღებუ-ლი, რომ მტერს მეტოქობა გაუწი-ოს და სამარცხვინოდ ზურგი არ უჩვენოს. მაგრამ ჩემს სიტყვებს ყუ-რადღება არავინ მიაქცია და ომი გამოცხადებულ იქმნა.

—

**ოსმალეთი.** კონსტანტინეპოლი-დგან გაზ. „Polit. Corresp.“ ატყო-ბინებენ: „ახალგაზდა ოსმალთა და-სის მეთაურის მურად-ბეის გარდა, კონსტანტინეპოლში დაბრუნდნენ ამ დასის წევრნი: მაიორი ახმედ-ბეი, კონსტანტინეპოლის სამხედრო სკო-ლის ფრანგულის ენის პროფესორად ნამყოფი, ეგვიპტის პრინცესა ნარლი-ხანუმ და პარიჟის ახალგაზდა ოსმალთა დასის კომიტეტის წევრნი: გიკმეტ-ბეი, გამოჩენილის სახელმწი-ფო კაცის ფაუდ ფაშის ძმისწული და შეფკეთ-ეფენდი. ახალგაზდა ოსმალ-თა დასის მომხრეთ სულ 23 კაცმა აიღო ხელი ძველს რწმენაზედ და ოსმალეთის მთავრობას შეუერთდა. მი-უხედავად ამისა, დანარჩენთ მაინც გული არ გაუცრუვდათ და უფრო გულმოდგინედ მიჰყვეს ხელი ოსმა-ლეთის მთავრობის წინააღმდეგ ბრძო-ლას“.

—

**ავსტრი-უნგრეთი.** 26 სექტემბ-ერს მორავიისის ოსტრავაში სილეზიის პოლონელთ და ჩეხელთ წარმომად გენელთა კრება იყო. კრებას აზრად სილეზიის სლავიანთა მდგომარეობის როგორც პოლიტიკურად, აგრეთვე სხვა მხრივ გაუმჯობესობა ჰქონდა. კრებას 600 კაცამდე დაესწრო. როდესაც ამორჩეულ იქმნენ კრების თავმჯდომარე და იმის თანაშემწენი, დეპუტატმა სვექიმ პოლონურს ენა-ზედ სიტყვა წარმოსთქვა თურმე, რომელშიაც ორატორი ავსტრი-უნგ-რეთის საპოლიტიკო ვითარებას შე-ეხო. მან უმთავრესად გერმანიის ლი-ბერალთა და სოციალ-დემოკრატ-თა დასების შესახებ ილაპარაკა, რომელთაც არას-გზით არ უნდათ ავსტ-რი-უნგრეთის სლავიანთა იმავე სა-ხელმწიფოს გერმანელებთან უფლე-ბის მხრივ გათანასწორება. ბოლოს სვექიმ სთქვა, რომ საჭიროა ყველა სლოვიანნი, პოლონელნი, ჩეხნი და სხვანი შევერთდეთ და წინააღმდეგო-ბა გავუწიოთ გერმანელთაო. ამ სი-ტყვას ყველანი დიდის სიხარულით და ტაშის ცემით მიეგებნენ. ასეთივე სიტყვები სხვებმაც წარმოსთქვეს და ბოლოს კრებამ დაადგინა, ეცადოს სილეზიასაც ისეთივე თავისუფლება მოუპოვოს ენის მხრივ, როგორიც ამ უკანასკნელ დროს ჩეხიასა აქვ-სო.

## დამაკვირდი

უველაზედ ნაკლებად ის არის თავი-სუფალი, ვისაც ბევრი მოსამსახურე ჰყავს.

დე-ბუგნი

* * *

იშვიათად, რომ ჩხუბი და უსიამოვ-ნება მოხდეს და მიზეზი დედაკაცი არ იყოს.

იუვენალი

* * *

ზოგიერთი სისულელეც გადამდებია ისევე, როგორც სენი და სატკივა-რი.

ლაროშფუკო

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამერიკის სასტუმროები 10—15 სართუ-ლიან შენობაში არის ხოლმე გამართული. თითო სასტუმროში 600—800 ოთახია. რაღა თქმა უნდა, კაცს მეხუთმეტე სართუ-ლში ასვლა ძლიერ გაუჭირდებოდა, ამიტომ ასეთს სასტუმროებში გამართულია მანქანე-ბი. ქვემო სართულში დანიშნულ ალაგას სკამი სდგას. მივა კაცი, დაჯდება ამ სკამ-ზედ, თითს მიადებს დუგმას და სკამი იმავე წამს ავა ზემო სართულში. მანქანა ისე სწრაფად მოქმედობს, რომ ვიდრე ადამიანი ერთხელ ამოისუნთქებს, მეხუთმეტე სარ-თულში გაჩნდება. ყოველ სართულში ფო-სტით გასაგზავნ წერილებისათვის ყუთებია გამართული. წერილს ამ ყუთში ჩააგდებთ დ თავის თავად ჩავა ქვემო სართულის დანიშნულ ოთახში. აქედგან იმ წამსვე ფოსტაში გაჰ-გზავნიან. საწოლ ტახტთან მიმაგრებულია მანქანა, რომელიც უბრალო თეფშს წაა-გავს. ზედ ათიოდე სიტყვაა დაწერილი: „გა-ზეთები“, „მარკა“, „ეტლი“, „სადილი“, „წყალი“, „მსახური“ და სხვ. თეფშის შუა-გულში ისარია. საკმარისია ეს ისარი დაა-ყენოთ თეფშზედ დაწერილს ერთ-ერთს სი-ტყვაზედ და რაცა გნებავთ, იმავე წუთში მოგართმევენ. ოთახში მუდამ ჟამს არის ცივი და ცხელი წყალი. ადამიანი მოსვენე-ბით არის სასტუმროს ოთახში და ასე ჰგო-ნია, რომ მინდოდეს, ტახტიდგან არც-კი წამოვიწევი და მთელს ქვეყანას გადავაბრუ-ნებო. სასტუმროში ყველაფერი ელექტრო-ნის ძალით კეთდება. სასტუმრო ოთახები, სამკითხველო და რესტორანი ისეა მოწყო-ბილი, რომ უკეთესის წარმოდგენაც-კი ძნე-ლია. რაღა თქმა უნდა, რომ მთელს რეს-ტორანში დიდი სისუფთავეა.

ამ ბოლოს დროს ქალაქ ნიუ-იორკში მილიონების პატრონმა ასტორმა ააშენა ერ-თი სასტუმრო „ვალდორფი“, რომელიც 20 მილიონ მანათად დამჯდარა თურმე. რა მდიდრულად უნდა იყოს მორთული ეს სას-ტუმრო, როდესაც პარიჟის საოპერო თეატ-რი ერთი ორად ნაკლებად დაჯდა. საფრან-გეთიდგან რამდენიმე სახელოვანი მხატვარი განგებ წავიდა ამერიკაში ამ სასტუმროს სანახავად და გაოცებულნი დარჩნენ იმ სა-უცხოვო მხატვრობით, რომლითაც შემკუ-ლია თურმე ოთახები ამ სასტუმროში.

## გამოსადეგი ცნობა.

ერთს რუსულს გაზეთში ვიღაც კაპ რალოვმა მეტად საყურადღებო ამბავი დაბეჭდა ქეცის მორჩენის შესახებ. კაპ-რალოვს. 4 წლის შვილი ქეცით გახდო-მია ავად. ბევრი ექიმისთვის უჩვენებია, ბევრის ექიმის წამლები უცდია, მაგ-რამ არც ერთმა არ არგო თურმე და ქეცს არა უშველა რა. ბოლოს კაპრა-ლოვს ყმაწვილისთვის ქეციან ადგილ-ზედ თაფლი წაუსვავს. მეორე დღეს ავად-მყოფს შემხმარი ქერქი ნაჭერ-ნაჭერ ჩამოსცვივდა და ორის კვირის შემდეგ-კი ქეცი სრულიად განიკურნა. ქეციანს ადგილზედ უწინდელებრ ბალა-ნი ამოუვიდა. თაფლს ყოველ დღე უს-ვამდა თურმე.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოს აგან).

25 სექტემბერი.

**მოსკოვი.** მოსკოვში არსდება საზოგადოება, რომელსაც საგნად ექმნება უკეთესს ნიადაგზედ დააყე-ნოს ვაჭრობა პურისა, საქონლის, ხე ტყისა და თევზისა. საზოგადოებას ექმნება რკინის გზებზედ თვისი ვა გონები, საკუჭნაოები და ბაკები. სა-ქმის დაწყებისთვის საჭიროა 1,750,000 მანეთი.

**ხარკოვი.** ოქტომბერში არსდება საზოგადო კურსები ხარკოვის უნი-ვერსიტეტთან. ფასი ექვსს თვეში ექვსი მანათია. ლექციებს წაიკითხა-ვენ უნივერსიტეტის საუკეთესო პროფესორები.

**დარმშტადტი.** დღეს ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და მიი ღო აქაური დესპანი პრუსიისა და ინგლისიის საქმეთა რწმუნებული.

**ვენა.** ქვემო ავსტრიაში და აგ-რეთვე ვენაში, ზემო ავსტრიაში, ზალცბურგსა, შტირიასა, ტიროლსა, ბაჰემიასა, მორავიასა, გალიციასა და ვენგრიაში დიდი თოვლი მოვიდა დ აცივდა; ზოგიერთ ალაგას—ქარიშ-ხალია.

პეტერბურგის ბირჟა, 23 სექტემბერი.

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა | გარიგე-ბისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ მანეთიანი ოქ-რო . . . . . | „ — | — „ | — „ |
| 5%.-ნი მომგებიანი გირავნობის ფურც-ლები სახელმწიფო სათავად - აზნაურო ბანკისა . . . | 204 | — „ | — „ |
| 4½% გირავნო-ბის ფურცლები იმავე ბანკისა . . | 100⅜ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 102 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 99¼ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | 102 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 99¼ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზო-გადოებისა . . . | 99⅜ | — „ | — „ |
| 5% პირველიში-ნაგან სესხის მომ-გებიანი ბილეთი . | 285½ | — „ | — „ |
| 5% მეორე შინა-გან სესხის მომ-გებიანი ბილეთი . | 245½ | — „ | — „ |

## წერილი რედაქციის მიმართ

—

„ივერიის“ მე-174-ში დასტამბულია კო-რესპონდენცია გურიიდგან. ავტორი სწერს, ვითომც დაბა ხიდისთავის ვაჭრები ატყუე-ბენ ხალხს წონაშიო და, ვითომც ამავე ვაჭრებს ყალბი ყანთარი აქვთ და როდე-საც ალექსანდრე ბერიძის თამბაქოს სწო-ნავდნენ, ყანთარი მამასახლისმა დაბეჭდაო.

საქმე აი როგორ გახლდათ: თამბაქოს პატრონი ბ-ნი ალ. ბერიძე მოვიდა ჩვენთან და გვთხოვა, რომ მისი თამბაქო გვეყიდნა, ჩვენც დავთანხმდით, მხოლოდ იმ პირობით, რომ ა. ბერიძეს უნდა მოეცა ჩვენთვის პი-რველისა და მეორეს ხარისხის თუთუნი, მესამე ხარისხის თამბაქოზედ-კი უარი ვუთ-ხარით. როდესაც თამბაქოს წონა დავიწ-ყეთ და ავწონეთ რამოდენიმე ფუთი, იმან გვიპასუხა: „მესამე ხარისხის თამბაქოც იყიდეთ, თორემ ეგრე არ გავყიდიო“. ჩვენ უარი უთხარით და წამოვედით. მეორე დღეს მოგვიგზავნა კაცი: „რადგანაც ფული ძლიერ მჭირდება, ამისთვის ასწონეთ და უწინდელ სიტყვაზედ წაიღეთო“. ჩვენც წავედით და ყანთარი თან წავიღეთ, რო-დესაც ავწონეთ თამბაქო, ამ დროს გაიღო სამზარეულოს კარები, საიდგანაც გამოჩნ-დნენ ბ-ნი ა. ბ. მიერ დამწყვდეული მამა-სახლისი თავის მწერლითურთ, რომლებმაც ყანთარი ხელიდგან გამოგვლიჯეს და გას-წიეს. გავიდა რამდენიმე დღე, ჩვენი ყან-თარი შეამოწმეს და იგი სრულიად სწორი და მართალი აღმოჩნდა. იმ ყანთრით ეხ-ლაც ვყიდულობ თამბაქოს. ამ გვარად, აშკარაა ბ-ნს, კორესპონდენტს ტყუილი გაუგონია და ტყუილივე გამოუქვეყნებია, ჩვენ ფიქრადაც არ მოგვსვლია ხალხის მოტყუება და ძარცვა.

დაბა ხიდისთავის მოვაჭრე ბ—ესო თ—ედორაძე

# განცხადებანი

**საქარის ამერიკულ ვაზის სა-ნერგეს გამგეობა** ამითი აცხადებს, რომ 1898 წ., თებერვლის გასულს მსურველთ შეუძლიანთ იყიდონ შემ-დეგი სავენახე მასალა: 1) დამყნილი ამერიკული ვაზები—ათასი 50 მან.; 2) დაუმყნელი ფესვებიანი ვაზები—ათასი 12 მან.; 3) ამერიკულ ვაზის სამყნობი ყლორტები—ათასი 7 მან. და 4) ნერგები გასამრავლებლად—ათასი 3 მან. ამას გარდა, ამავე წლის შემოდგომას გაიყიდება ერთის წლის დამყნილი ხეხილი, სახელდობრ: ატმის ხე, ჰერამისა, მსხლისა, ქლია-ვისა და ბალისა—10 კაპ. თითო.

მცენარეულობისა და ნერგების შეძენის სურვილი უნდა გამოცხა-დებულ იქმნას თავისს დროზე პირა-დად ან წერილით.

შენიშვნა. მცენარეულობა ეძლევათ მარტო ქუთაისის გუბერნიის მცხოვ-რებთ, სუხუმისა, ბათუმისა და ართ-ვინის ოლქების გარდა.

(3—6.—2)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

საქართველოს ისტორიისა და მწერ ლობის შესახებ.

| | მან. | კაპ |
|---|---|---|
| ქართლის ცხოვრება . . | 8 | „ |
| იგივე ფრანგულად ნათარ-გმნი ბროსეს მიერ . | 8 | 20 |
| ქართლის ცხოვრება I წი-გნი გამოცემა ზ. ჭიჭი-ნაძისა . . . . . | „ | 40 |
| სახალხო ლექსები და ლე-გენდები . . . | „ | 20 |
| ნ. ნიკოლაძე. ბიოგრაფია | „ | 20 |
| აკაკი წერეთელი. ბიოგ-რაფია . . . | „ | 15 |
| ამირან-დარეჯანიანი . | 1 | „ |
| ჩვენი ახალი მწერლობა სალარაძისა . . . , | „ | 40 |
| ბუნება და ცხოვრება ი. ალხაზიშვილისა . . . | „ | 60 |
| გედები საყმაწვილო წიგნი | „ | 20 |
| პარტახი მოთ. ნინოშვი-ლისა . . . . . . . | „ | 20 |
| ორი ეტიუდი . . . . . | „ | 20 |
| როგორა ცხოვრობდენ ადამიანები ძველად . . | „ | 25 |
| საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა . . . . | 1 | „ |
| საქართველოს ისტორია მ. ბროსესი . . . . | „ | 70 |
| მეფე გიორგი ბრწყინვალე, ურბნელისა . . . . | „ | 20 |
| ძეგლის დება (მეფე გიორ-გის სამართალი), მისივე. | „ | 25 |
| ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, მისივე | „ | 50 |
| თამარ მეფე დ. კარიჭაშ-ვილისა. . . . . | „ | 15 |
| სვიმონ მეფე, მისივე . . | „ | 10 |
| როსტომ მეფე, მისივე . | „ | 10 |
| Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности проф. А. Цагарели. I выпускъ . . | 1 | 25 |
| II вып. . . | 1 | 50 |
| О грамматической литературѣ грузинскаго языка, его-же . . . | „ | 50 |
| Грамоты и другіе документы XVШ ст., его-же . . . . . . . | 3 | „ |
| Очерки по исторіи грузинской словесности А. Хаханова. . . . | 2 | „ |
| Грузинскіе дворянскіе акты, его-же. . . . | „ | 60 |
| Сигель грузинскаго Царя Баграта IV, Е. Такайшвили. . . . | | 60 |
| Матеріалы для русской исторіи, его-же. . . | 3 | |
| Матеріалы для исторіи Кавказа. Буткова 3 т. . . . . . . | 7 | 50 |
| Завѣщаніе царя Давида Возобновителя Ѳ. Жорданія . . | | 30 |

Т-во БРОКАРЪ и К°.
ИЗОБРѢТАТЕЛИ ПАРФЮМЕРІИ
„Персидская сирень“


О-де-колонъ.
Духи. ❁ Мыло.
Просимъ остерегаться поддѣлокъ.

(11—3—4)

**იმლევა ქირით**

ნიკოლოზის ქუჩაზედ, საგინაშვი-ლის სახლში, № 21.

ზემო სართულში **ხუთი ოთა-ხი** ბილოზებით.

10—9